PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრი:

ბესარიონ ორმოცაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 13 ნოემბერს წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ. შეცვლამდე, დაწესებულების ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენდა ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.#49, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის შენობა, მესამე სართული. ორი წლის წინ უნივერსიტეტმა მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის დადასტურების მიზნით, თუმცა ექსპერტიზის დასკვნამ აჩვენა, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ შენობაში სასწავლო პროცესის წარმართვა არ იყო მიზანშეწონილი, რადგან შეიცავდა რისკებს ადამიანის უსაფრთხოების კუთხით. აქედან გამომდინარე, კოლეჯმა დაიწყო ახალი ფართის ძიების პროცესი. სწორედ აღნიშნული გარემოებები გახდა კოლეჯის მიერ ფართისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ცვლილების მიზეზი.

კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის მიერ 2020 წლის 27 ნოემბერს გამოიცა N1132243 ბრძანება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტებთან და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტთა კომპონენტების შეფასება ხორციელდებოდა დისტანციურად, დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა სტანდარტების შესაფასებლად საჭირო დოკუმენტები. მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები და სხვა.

გასაუბრებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა გასაუბრების განრიგი. დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა და გასაუბრება განხორციელდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით. განრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით, მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ასევე ხორციელდებოდა ელექტრონულად დოკუმენტაციის დამატებით წარმოდგენა დაწესებულების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია				
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება				
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა				
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები				
4) ადამიანური რესურსები	☐	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა				
4.2) პერსონალის განვითარება				
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☒
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა				
5.2) საინფორმაციო რესურსები				
5.3) ფინანსური რესურსები				

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით მოიძია ფართი და გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება 2020 წლის 1 ოქტომბერს, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდი. ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ სახელმწიფოს მიერ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8 მილიონი, რომელიც პარლამენტის მიერ დამტკიცდება უახლოეს პერიოდში. აღნიშნული თანხა მოხმარდება კოლეჯის შენობის მშენებლობას, ხოლო მშენებლობის პროცესის დასრულება დაგეგმილია წელიწადნახევარში. შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება ამ მიზნით არის გაფორმებული 2 წლით. ასევე, ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების მიერ, არის მილევად რეჟიმში და მათი დასრულება ამ პერიოდშივე არის შესაძლებელი.
გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წელს დაწესებულებას ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭა, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება მოქმედია 2022 წლის 01 ოქტომბრამდე, სტანდარტის კომპონენტის ინდიკატორის მოთხოვნა - დაწესებულების საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც - არ შეესაბამება.

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაციები:

დაწესებულებას სხვადასხვა რეგულაციებში რამდენჯერმე აქვს გამოყენებული ტერმინი „პედაგოგი“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნაცვლად, „სტუდენტი“ პროფესიული სტუდენტის ნაცვლას. შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა გამოიყენოს პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები. ასევე, სასურველია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში გამოყენებულ იქნას პოზიციათა ერთი და იგივე დასახელებები - „მედდა“- ექთანი და სხვა.

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულების ადგილად განსაზღვრულია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N49. შესაბამისად, მიზანშეწონილია კოლეჯის ფართის ცვლილებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვროს კოლეჯის ახალი მისამართი, როგორც ეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაშია.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. კოლეჯს შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს ერთი წესი, რომელიც შესაძლოა დამატებით მოიცავდეს სახანძრო უსაფრთხოების ზომებს და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედეების ინსტრუქციებს. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ინსტრუქციის შემუშავება, ასევე მოთხოვნილია სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

6. სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში იკვეთებოდეს, რომ პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მოდულების ფარგლებში უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემო.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტში დამატებით გაიწეროს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს: რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს - უკვე გამოყენებული თუ ახალი.
2. სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავდეს შერჩევის პრინციპს, მოცულობას, რისკების სისტემას (განხორციელდეს მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა) და ვერიფიკაციის პროცესის დეტალურ აღწერას. ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა ასევე შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შემდგომი ნაბიჯებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

VIII. სტანდარტების შეფასება

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N155 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. კოლეჯი მდებარეობდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ.#49-ში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის შენობაში, მესამე სართულზე. ორი წლის წინ უნივერსიტეტმა მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის დადასტურების მიზნით. თუმცა ექსპერტიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დასკვნამ აჩვენა, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ შენობაში სასწავლო პროცესის წარმართვა არ არის მიზანშეწონილი და შეიცავს რისკებს ადამიანის უსაფრთხოების კუთხით. აქედან გამომდინარე, კოლეჯმა დაიწყო ახალი ფართის ძიების პროცესი. სწორედ აღნიშნული გარემოებები გახდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების მიზეზი. კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით მოიძია ფართი, გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება 2020 წლის 1 ოქტომბერს, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდი. ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ სახელმწიფოს მიერ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8 მილიონი, რომელიც პარლამენტის მიერ დამტკიცდება უახლოეს პერიოდში. აღნიშნული თანხა მოხმარდება კოლეჯის შენობის მშენებლობას, ხოლო მშენებლობის პროცესის დასრულება დაგეგმილია წელიწადნახევარში. შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება ამ მიზნით არის გაფორმებული 2 წლით. ასევე, ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების მიერ, არის მილევად რეჟიმში და მათი დასრულება ამ პერიოდშივე არის შესაძლებელი.

საიჯარო ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯს საერთო ფართიდან 410 კვ.მ გადაეცა დროებით სარგებლობაში. ასევე, წარმოდგენილია საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზით და ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო), ადმინისტრაციული სივრცე პროფესიულ სტუდენტთა და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მუდმივად მომუშავე ადამიანების რაოდენობის ადეკვატურია.

გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წელს დაწესებულებას ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭა, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება მოქმედია 2022 წლის 01 ოქტომბრამდე, სტანდარტის კომპონენტის ინდიკატორის მოთხოვნა - დაწესებულების საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც - არ შეესაბამება.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საერთო სივრცეებით, ასევე სასწავლო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ბაზით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 ლეპტოპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომლითაც გაწერილია, რომ სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულების ადგილად განსაზღვრულია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N49. შესაბამისად, მიზანშეწონილია კოლეჯის ფართის ცვლილებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვროს კოლეჯის ახალი მისამართი, როგორც ეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაშია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუირებით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას ჰყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე, სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯში მყოფთა ევაკუაციაზე. მისი უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულ უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში. ასევე, დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია, რომლითაც კოლეჯი იღებს ვალდებულებას დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო პირობები. აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ვალდებულება დასტურდება უსაფრთხოების სპეციალისტთან ინტერვიუირებით.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები. აღნიშნული მექანიზმები ახდენს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისათვის სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფას, მათ შენახვას და გამოყენებას. გაწერილია პროცედურები პასუხისმგებელი პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მითითებით, ასევე დადგენილი წესით რეგულირდება დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვა, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N03-07 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულება, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს პროგრამების მონიტორინგს, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და კურსდამრთავრებულთა გამოკითხვებს. ასევე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოიპოვებს ინფორმაციას საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ადეკვატურობის, საკმარისობისა და შესაბამისობის შესახებ. მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება რეკომენდაციები.

8. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დისტანციურად დათვალიერებულ იქნა კოლეჯის სანიტარული კვანძები. ისინი მოწყობილია განცალკევებულად ქალებისა და მამაკაცებისათვის, უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული კვანძი.

9. კოლეჯის ყველა ფართს (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული სივრცე, დასასვენებელი სივრცეები, ფოიე) უზრუნველყოფილია როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი განათებით.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. დაწესებულების აზომვითი ნახაზის შესწავლითა და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ მისი ფართი და ოთახების განლაგება შეესაბამება სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირების პრინციპს. დაწესებულება წარმოდგენილია კორიდორული სისტემით, ყოველ ოთახს გააჩნია დამოუკიდებელი შესასვლელი, რაც გამორიცხავს არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგების მიზეზით საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის დაბრკოლების შექმნას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03/09 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომლის ძირითადი საქმიანობაა ბეჭდური და ელექტრონული წიგნების მიღება, დამუშავება და მათი აღრიცხვა ელექტრონულ ან/და ქაღალდის კატალოგებში, პერიოდულ გამოცემათა დამუშავება და აღრიცხვა. ბიბლიოთეკარი ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, კატალოგებითა და სხვადასხვა სახის ინფორმაციით.

კოლეჯის ბიბლიოთეკა განლაგებულია ერთ ოთახში, თუმცა, მასში გამოყოფილია ბიბლიოთეკარის სამუშაო და პროფესიულ სტუდენტებისთვის სამკითხველო სივრცე. თვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც საბარათე კატალოგები, ასევე ელექტრონული კატალოგი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებით;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციით;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- საიჯარო ხელშეკრულებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- აზომვითი ნახაზებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ახალ ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საექსპერტო დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ, რომლითაც ირკვევა, რომ შენობის ვიზუალურ-ტექნიკური დათვალიერებით მის მზიდ კონსტრუქციებს არ გააჩნიათ საყრდენების ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე. შენობის მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
კოლეჯმა წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი N1034 მიწერილობა (01.12.2020), რომლითაც განსაზღვრულია სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები შესრულების ვადების მითითებით. ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ყველაზე გვიან შესასრულებელ ვადად გაწერილია 2021 წლის 30 ოქტომბერი. დირექტორთან და უსაფრთხოების სპეციალისტთან ინტერიუირებით ირკვევა, რომ მათ გაწერილ ღონისძიებათა დიდი ნაწილი უკვე შეასრულეს.

კოლეჯს ასევე შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს ერთი წესი, რომელიც დამატებით შესაძლოა მოიცავდეს სახანძრო უსაფრთხოების ზომებს და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედეების ინსტრუქციებს. ინსტრუქციის შემუშავება, ასევე მოთხოვნილია სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლითაც პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირს - ექთანს, კვალიფიკაციით ექთან-მასაჟისტს, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ექთანი ვალდებულია კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ასევე პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აკონტროლოს არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება და აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში შეტანის გზით.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შეთანხმებულია სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან. ასევე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია, რომლითაც ირკვევა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 03.12 № 02-31 ბრძანებით), რომლის მიზანია წყალდიდობის, ხანძრის, მიწისძვრის და სხვა ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციული ღონისძიებების წარმართვა. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება, საფრთხეების იდენტიფიცირება და შეფასება, საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების, საავარიო-სამაშველო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელება, აგრეთვე მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან დაკავშირება.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესით ირკვევა, რომ კოლეჯში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზუნრველყოფა ევალება უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტს. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში ასევე განთავსებულია ვიდეოკამერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციით;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესით;
- დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი N1034 მიწერილობით;
- შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო დასკვნით;
- გაფორმებული ხელშეკრულებით;
- საევაკუაციო გეგმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ინტერვიუირებით;
- პირადი საქმით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კომპიუტერული ქსელი აერთიანებს სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ B გარემოს, ასევე ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიზნებისთვის საჭირო კომპიუტერულ ქსელს. საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) მართვის მექანიზმები და პროცედურები. IT ინფრასტრუქტურის მართვა ევალება ქსელის ადმინისტრატორს, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯის კომპიუტერულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მის გამართულ ფუნქციონირებაზე. ასევე, კაბელური და უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტირებაზე, საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე, მართვასა და მონიტორინგზე. ქსელის ადმინისტრატორი ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დაფიქსირებას, რეაგირების ეფექტური სისტემის შექმნასა და მართვას.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომლითაც გაწერილია თუ რა სახის ინფორმაცია ითვლება პერსონალურ მონაცემად და მონაცემთა რომელ კატეგორიაზეა დაწესებული დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი. შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მონაცემები შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. ასევე, პერსონალური მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. ქსელის ადმინისტრატორი პასუხისმგებელია კოლეჯის კომპიუტერულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე და მის გამართულ ფუნქციონირებაზე. ასევე, დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N03-07 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულება, რომლითაც ირკვევა, რომ შიდა მხადაჭერის ჯგუფის ფუნქციაა მოიპოვოს ინფორმაცია მატერიალური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
- სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის საკმარისობასა და შესაბამისობაზე. ხარისხის მექანიზმი ეფუძნება დემინგის ციკლს. შესაბამისად, განვითარების ეტაპზე მუშავდება გაუმჯობესების მექანიზმები და მაკორექტირებელი ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში, შედეგები გამოყენებული იქნება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. სასწავლო სივრცეებსა და ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე წვდომა აქვთ პროფესიულ სტუდენტებს და მასწავლებლებს. კოლეჯში ასევე არის WiFi.

პანდემიიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და დისტანციურად განხორციელების მიზნით, კოლეჯმა რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელს სარგებლობის უფლებით გადასცა ლეპტოპი.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. ამ მიზნით, თითოეული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს აქვს პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული ფოსტების მისამართთა ბაზა, რომელთა მეშვეობითაც მათ შეუძლიათ მათთან კომუნიკაცია. ასევე, კოლეჯს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ელექტრონული ფოსტის მონაცემთა ბაზები, მათთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) მართვის მექანიზმებით და პროცედურებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულებით;
- სს „სილქნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმით;
- ვიზუალური დათვალირებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით. კოლეჯში საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის, eflow-ს საშუალებით. მას ევალება კოლეჯში შემოსული და გასული კორესპოდენციის, შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და დროული მიწოდება ხელმძღვანელობისთვის და შემსრულებლებისათვის. ასევე, დაწესებულების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შემსრულებელთათვის განისაზღვრება შესრულების ვადები.

კოლეჯის მიერ ელექტრონული ფორმით აღირიცხება:
ა) შიდა დოკუმენტაცია;
ბ) შემოსული კორესპონდენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
გ) გასული კორესპონდენცია.
დოკუმენტების მატერიალური აღრიცხვის მიზნით კოლეჯში არსებობს:
ა) კოლეჯის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
ბ) ხელშეკრულებებისა და შესაბამისი ცვლილებების აღრიცხვის ჟურნალი;
გ) პროფესიული დიპლომების რეგისტრაციისა და გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;
დ) პროფესიული დიპლიმის დუბლიკატებისა და შეცვლილი პროფესიული დიპლომების რეგისტრაციისა და გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;
ე) მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (ტრენინგ-კურსების) გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის რეგისტრაციისა და გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;
ვ) კოლეჯსა და სხვადახვა ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისა და შიდა ოქმების აღრიცხვის ჟურნალი.
დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია. მათი სანდოობა და მთლიანობა ამ ფორმით არის უზრუნველყოფილი, რაც დასტურდება საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებით.
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის.
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადების დაცვით შეტანას. აღნიშნული დასტურდება პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით.
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებაში შემოსულ დოკუმენტაციაზე, საჭიროების შემთხვევაში, შემსრულებელთათვის განისაზღვრება შესრულების ვადები. კოლეჯი ასევე იცავს კორესპოდენციაში განსაზღვრულ ვადებს, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის დროული მოწოდებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით;
- საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი (www.sportcolle.ge) და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს, რადგან მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. ასევე, ვებგვერდზე განთავსებულია ფილიალის შესახებ ინფორმაცია.

ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ანგარიშები წლების მითითებით და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს SKILLERS-თან გაფორმებული ხელშეკრულება დომენური სახელის - sportcolle.ge შესყიდვის შესახებ. ასევე, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება (ოპტიკური სილქ ინტერნეტმომსახურება) გაფორმებულია სს „სილქნეტთან“. ორივე ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2. დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება. საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქციაა კოლეჯის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, კოლეჯში მიმდინარე პროცესების ამსახველი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება, უკუკავშირის მიზნით რეაგირება სოციალურ ქსელში შემოსულ ყველა წერილსა თუ პოსტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, არის სანდო და უტყუარი.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ასახულია ის პროგრამები, რომლებზეც დაწესებულებას მიღებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელების უფლება. ვებგვერდზე განთავსებულია წლების მიხედვით კატალოგების არქივი.

დაწესებულების მიერ განთავსებულ 2019 წლის კატალოგში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი. ბეჭდური და ონალინ გამოცემების რეპორტიორის პროგრამას, მოცულობად გაწერილი აქვს 110 კრედიტი, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამის მოცულობად განსაზღვრულია 115 კრედიტი. დაწესებულებას წინა წლების კატალოგში სწორად აქვს გაწერილი პროგრამის მოცულობა.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებაში პროგრამები ხორციელდება მილევად რეჟიმში ვებგვერდზე უახლესი კატალოგი თარიღდება 2019 წლით.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულებით ირკვევა, რომ ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერის ამოცანაა მჭიდრო კონტაქტების დამყარება სამიზნე აუდიტორიასთან (პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, პოტენციური პროფესიული სტუდენტები, მათი მშობლები...) და ინტერეს ჯგუფებთან (პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა), მათი წინადადებების, შენიშვნების, მოსაზრებების დამუშავება, გაანალიზება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლებისთვის მიწოდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სს „სილქნეტთან“ გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულებით;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულებით;
- შპს SKILLERS-თან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სოციალური ქსელით;
- ვებგვერდით;
- კატალოგით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომლის განხორციელებაც გადადის ახალ ფართზე

პროგრამის სახელწოდება	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	070355
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სამეთვალყურეო საბჭოს 2015 წლის 14 აგვისტოს № 3 ოქმით დირექტორის ბრძანებით N03-13/23.10.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ნინოშვილის ქ. #55
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	თბილისი, ნინოშვილის ქ. #55 მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება				
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული			
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება				
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	სრული			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. კოლეჯს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში, რომელზეც 18 პროფესიული სტუდენტი სწავლობს. 9 პროფესიული სტუდენტი პირველი კურსის სტუდენტია, ხოლო მეორე 9 - მეორე კურსის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გენერალური ხელშეკრულება გაფორმებული აქვს გაზეთ „ლელო“-სთან, რომლის საგანს წარმოდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის მოდულების „საწარმოოს პრაქტიკა ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ და „გაცნობითი პრაქტიკა“ ჩატარება. პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს თითოეულ ჯერზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის განხორციელება არსებულ პროფესიულ სტუდენტთათვის.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში, რომელთა განხორციელება უნდა უზრუნველყოს ათმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებითა და პირადი საქმეებით დგინდება, რომ მათ აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელების კომპეტენცია და გამოცდილება.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები - დიპლომები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. პროფესიულ სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ასევე დაწესებულების ვებგვერდზე ინტეგრირებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი openbiblio. ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით დისტანციურად გადამოწმდა სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას.
7. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით გაწერილია შემოსავლის სახეობები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის განხორციელებასთან. ბიუჯეტი არ მოიცავს რენტაბელობის ზღვარს, თუმცა შემოსავლები აჭარბებს ხარჯს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პირადი საქმეებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სასწავლო პროცესის განხორციელების ფორმების ცვლილებიდან გამომდინარე, მათ უწევთ სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანა.
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები. ამ მიზნით და სამინისტროს დავალებითაც, გაზაფხულზე მათ განახორციელეს ინტერნეტზე ხელმისაწვდომის კვლევა, რომლითაც გაირკვა, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ პრობლემა კომპიუტერული მოწყობილობების წვდომასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასწავლო პროცესის დინსტანციურად წარმართვისას არ შექმნიათ პრობლემები.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რადგან პროგრამა ხორციელდება იმ ტექნიკური აღჭურვილობით, რომლითაც დაწესებულებამ მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-04 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ის შემთხვევები (მობილობა/შიდა მობილობა, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა და სხვა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება ამ დრომდე არ ჰქონიათ.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით. კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გენერალური ხელშეკრულება გაფორმებული აქვს გაზეთ „ლელო“-სთან, რომლის საგანს წარმოდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის მოდულების „საწარმოოს პრაქტიკა ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ და „გაცნობითი პრაქტიკა“ ჩატარება. პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს თითოეულ ჯერზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლამდე.

ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულების საფუძველზე გააფორმონ კონკრეტული ხელშეკრულება/შეთანხმება, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება ხელშეკრულების პირობები, პრაქტიკის დაწყება/დასრულების თარიღები, პერიოდი, ფასი, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა არსებითი პირობები.

6. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება უზრუნველყოს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით საკუთარ მფლობელობაში არსებულ ფართზე. სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში იკვეთებოდეს, რომ პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მოდულების ფარგლებში უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გენერალური ხელშეკრულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუირებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N03-04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წესი არეგულირებს შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ნამუშევრის გასწორების ვადებს, გასაჩივრების წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს.

სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტში დამატებით გაიწეროს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს: რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს - უკვე გამოყენებული თუ ახალი.

2. დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N03-07 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულება, რომელიც მოიცავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების შემოწმებას, შეფასების პროცესის შემოწმებას და შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტებთან ერთად. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოწვეული იყოს დარგის წარმომადგენელი.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება სამუშაო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულ პერიოდში, სამიზნე პროგრამის/მოდულის/განმახორციელებლის მითითებით, წინასწარ შემუშავებული ჩეკლისტების საშუალებით. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს - განმახორციელებელს უკუკავშირისთვის. ვერიფიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სტატისტიკური სახით დაიტანება ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშში.

სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავდეს მტკიცებულებათა შერჩევის პრინციპს, მოცულობას, რისკების სისტემას (განხორციელდეს მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა) და ვერიფიკაციის პროცესის დეტალურ აღწერას. ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა ასევე შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შემდგომი ნაბიჯებისთვის.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. მტკიცებულებათა შეგროვებაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც შეგროვების შემდეგ მტკიცებულებებს გადასცემს სასწავლო პროცესის კოორდინატორს. მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის პროტფოლიოში სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ მუდმივად. აღნიშნული დარეგულირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

4. ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულებით გაწერილია, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის დახვეწა/სრულყოფის, პროგრამების განვითარების, პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დებულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი.

12.01.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---